



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 22/02-06
17/01/2019

22-02-06-4-201901171520



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის კოორდინატორის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის დავით გაბელაიას ნიდერლანდების სამეფოში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, დავით გაბელაიას 16.01.2019წ. N609/10-02 მიმართვის (ინსტიტუტის დირექტორის ნ. ფარცვანიას და გრანტის ხელმძღვანელის მ. ჯიბლაძის თანხმობებით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 19 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის NDI-2016-25 გრანტის ფარგლებში, ამსტერდამის უნივერსიტეტის ლოგიკის, ენისა და გამოთვლების ინსტიტუტში კვლევითი ვიზიტით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი დავით გაბელაია;
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, სამივლინებო 7971.18 ლარის ხარჯიდან, გასცეს მგზავრობის ხარჯი 894.84 ლარი, წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე და 7076.34 ლარი, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის NDI-2016-25 გრანტის ხარჯთაღრიცხვაში მივლინებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან (დანართი N1);
3. დაევალოს დავით გაბელაიას, წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და სამივლინებო ანგარიში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;

4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური);
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის კოორდინატორის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის დავით გაბელაიას ნიდერლანდების სამეფოში მივლინების ხარჯთაღრიცხვა:

1. მგზავრობის ხარჯი (ელექტრონული ბილეთი): 292.95 ევრო X 3.0546 ლარი = 894.84 ლარი;
2. სადღეღამისო ხარჯი:
14 (ნაწილობრივ) დღე X 41 ევრო X 3.0449 ლარი = 1747.77 ლარი.
3. ბინის დაქირავების ხარჯი:
14 დღე/ღამე X 125 ევრო X 3.0449 ლარი = 5328.57 ლარი.

სულ: 7971.18 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი



ი. საღარეიშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას


თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
მათემატიკური ლოგიკის განყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომლის,
შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
დაფინანსებული საგრანტო პროექტის #DI-2016-25
მონაწილის
დავით გაბელაიას

მ ი მ ა რ თ ვ ა

გაცნობებთ, რომ საგრანტო პროექტის #DI-2016-25 ფარგლებში, 2019 წლის 19 იანვრიდან
2 თებერვლის ჩათვლით მიწვეული ვარ ამსტერდამის უნივერსიტეტში სამეცნიერო ვიზიტით,
პროექტის თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივად საკვლევად (იხ.
თანდართული მიწვევა).


გთხოვთ, ამინაზღაუროთ სამივლინებო ხარჯები აღნიშნული საგრანტო პროექტის
ბიუჯეტიდან.

პატივისცემით,
დ. გაბელაია



16/01/2019

თანახმა ვარ
თსუ ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის
ინსტიტუტის დირექტორი



ნიანო ფარცვანიძე
16.01.2019 წ.

მონაწილე
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი
ნუნუ ოვსიანიკოვა
16.01.2019